



სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტო

LEPL MARITIME TRANSPORT
AGENCY



KA020194558265722

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო საქართველო, ქ.ბათუმი, 6000, ბაქოს ქუჩა N50. ტელ.:+995 422 27 49 25/26
50 Baku Str., 6000, Batumi, Georgia. Tel.:+995 422 27 49 25/26

№ 10/CIRC/FSI

03 / მაისი / 2022 წ.

საქართველოს დროშით მცურავი გემების
მფლობელებს, ოპერატორებს, მენეჯერებს,
ალიარებულ ორგანიზაციებს, ალიარებულ აგენტებს,
საქართველოს ყველა საზღვაო ნავსადგურს,
საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო
დაცვის დეპარტამენტს

შინაარსი: საქართველოს დროშით მცურავი არაკონვენციური გემების უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები

მითითება:

- საქართველოს საზღვაო კოდექსი
- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის N 09 ბრძანება „არაკონვენციური მცურავი საშუალებების უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ

1. მიზანი:

1.1 ცირკულარის მიზანია განმარტოს საქართველოს დროშით მცურავი არაკონვენციური გემის უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად საჭირო უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები.
1.2 აღნიშნული ცირკულარი ატყობინებს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული არაკონვენციური გემების მფლობელებს, ოპერატორებს, მენეჯერებს და კაპიტნებს, რომ 2022 წლის - 28 აპრილს ცვლილებები შევიდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის N 09 ბრძანება „არაკონვენციური მცურავი საშუალებების უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ (შემდგომში ბრძანება).

2. მოქმედების სფერო:

2.1 ბრძანება ვრცელდება შიდა და საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართულ საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ არაკონვენციურ მცურავ საშუალებებზე.
2.2 ბრძანების მინიმალური მოთხოვნები ასევე ვრცელდება იმ მცურავ საშუალებებზე, რომლებიც არ არის რეგისტრირებული საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში, მაგრამ ნაოსნობს ორ თვეზე მეტი პერიოდით საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში.

3. უცხო ქვეყნის დროშით მცურავი საშუალებები:

3.1 ამ ბრძანებით განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნები ასევე ვრცელდება იმ მცურავ საშუალებებზე, რომლებიც არ არის რეგისტრირებული საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში, ნაოსნობს ორ თვეზე მეტი პერიოდით საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და ჩართულია სხვადასხვა საქმიანობაში (გართობა, გასეირნება, ტურისტული, სპორტული და სხვა მიზნებისთვის).

4. სამაშველო ჟილეტების მოთხოვნები:

4.1 ამაშველო ჟილეტის (Non inflatable life jackets) შემოწმება (გამოცდა/ტესტირება) უნდა განხორციელდეს 3 (სამი) წელიწადში ერთხელ, ხოლო ვიზუალური ინსპექტირება უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად.

4.2 გასაბერი სამაშველო ჟილეტის (inflatable life jackets) შემოწმება (გამოცდა/ტესტირება) უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად.

5. მცურავ საშუალებაზე ამწე მოწყობილობების მოთხოვნები:

5.1 მცურავი საშუალება, რომელიც იყენებს ამწე მოწყობილობებს (ჯალამბარი) და მასთან დაკავშირებულ ფოლად ბაგიუს და მისი ამწეობა აღემატება 1 (ერთი) ტონას და მეტს ან იყენებს ამწე მოწყობილობას ტურისტული, გასართობი მიზნებისთვის, ექვემდებარება ყოველწლიურ შემოწმებას.

6. სასაფრთხო დანიშნულების სამგზავრო გემებისთვის სამაშველო პლოტების მოთხოვნები:

6.1 სასაფრთხო დანიშნულების სამგზავრო გემის მიმართ, რომელიც ნაოსნობს ხმელეთიდან 2 (ორი) საზღვაო მილის ჩათვლით, არ მოეთხოვებათ სამაშველო ტივი.

7. რადიო, სამაშველო აღჭურვილობების სასწავლო წვრთნების და ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მოთხოვნები:

7.1 ბრძანების დანართის N 1, 2, 3 და 4 შესაბამისად განსაზღვრულია შესაბამისი მოთხოვნები და საგამონაკლისო შეღავათები.

8. გარდამავალი დებულებები:

8.1 ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 28 აპრილს.

8.2 ბრძანების ამოქმედებიდან 3 (სამი) თვის ვადაში, გემთმფლობელები ვალდებული არიან უზრუნველყონ ბრძანების დანართი № 1-ის შესაბამისად მოთხოვნილი ძებნა-გადარჩენის ტრანსმისტერი AIS SART ან SART რადიოაღჭურვილობა და უნივერსალური ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემა მიმღებ-გადამცემით (UAIS) .

9. კონსულტაცია, დამატებითი კითხვები:

9.1 კონსულტაციისათვის მიმართეთ სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტოლის დეპარტამენტს.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტოლის დეპარტამენტი
ტელ: +995 (422) 274925
ელ-ფოსტა: fsi@mta.gov.ge
ცხელი ხაზი : +995 (577) 221622

დანართი:

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 24 ივნისის N 09 ბრძანება „არაკონვენციური მცურავი საშუალებების უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ (ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით)

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამგდამსმულია
ელექტრონულად



თამარ იოსელიანი